ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლში, № 8.

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამიო ლოვის სახლებში, № 8.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: თვალი წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ᲧᲝᲚᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდ ასოებით ასოზე—1 კაპ., — ახრ-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔ“

ᲤᲐᲡᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ (პირველ ივლისიდამ პირველ იანვრამდინ 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპეიკი. პირველი აგვისტოდამ წლის დამლევამდინ—4 მან.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ: თფილისში, (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლებში, № 8). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** Ქუთაისიდამ გვწერენ ჩვენ:

„ᲔᲡ უკანასკნელი ორი-სამი დღეა დარები დიჭირა აქ, თორე სულ წვიმები და წვიმები. სწორეთ გითხრათ, სული ამოიღო, მერე ამისთანა ქუჩიან ქალაქში, როგორც ჩვენი კურთხეული ქუთაისი!“

*** Იქიდამეე გვატყობინებენ, რომ იქ ამ დღეებში სცენის მოყვარენი აპირებენ მოლიერის „სიყვარული და ცრუ მორწმუნოების“ თამაშობას, თუ დარი (ტროსზე არ ვამბობ) დაუდგათო. Თუ დავესწარი იმ დროს ქუთაისში, ყველაფერს, შეგატყობინებთო, გვპირდება ჩვენი კორრესპონდენტი.

*** Გუშინდელ ნომერში, დღიურში, ჩვენ შეცდომით მოგვივიდა „Თბილისის მოამბიდამ“ ამოღებული მოზღოკიდამ მოსავლისა და სიიაფის ცნობების გარდმოცემა. Ყველაფერი იქ მოხსენებული ეკუთვნის შარშანდელს და არა წლევანდელ წელიწადს.

*** Რუ-ულ გაზეთებში იწერებიან, რომ Ინგლისის ელჩი Ლეიარდი ყოველ ღონის ძიებას ხმარობს, რომ სულთანი შეარიგოს მითხად-ფაშასთანაო.

*** „Თფილისის მოამბეში“ იწერებიან, რომ Ბათუმში ანგლიჩანები ჰყიდულობენ სახლებს, ბაღებს და მიწებს, ავრცელებენ რა ხალხში ცუდ ხმებს რუსის მმართველობის წინააღმდეგ.

Იქაურ მცხოვრებლებს მართლა ეში ნიანთ ჩვენი მმართველობის მხრით ზომებისა და ემზადებიან თათრების ჯარების გაჰყოლას გადასასახლებლათაო.

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ᲡᲐᲛᲣᲠᲖᲐᲧᲐᲜᲝ, 15 Აგვისტოს. Უცხოკაცი რომ რამოდენიმე ხანს დაჰყოფს გაუცნობელ ადგილზედ, ძალა უნებურად შენიშნავს რაიმე ნაირ ხალხის ჩვეულებას. მით უმეტეს აქ, სამურზაყანოში,—სადაც კაცი ყოველ-წუთში შეხვდება ხალხის ცრუ-მორწმუნეობას.—დადგა თუ არა Აგვისტოს თვე, ხალხი ძალიან ეჭვში შევიდა, უთუოდ „ეშმაკები“ (დედაბრები. როგორც აქვთ წარმოდგენილი აკაურებს) შეგეჭამენ ცო-

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ

(წერილი მეექვსე)

Ყველაზე გამოჩენილი და წარჩინებული გვარი ქობულეთში არის Თაედგირიძე და ჩაქვში და Ბათუმში—Ბეჭან-ოღლი.

პირველის ამ გვართაგანის წარმომადგენელად ახლა არიან ორი ძმანი Ალი და Ოსმან-ფაშები Თაედგირიძეები; მეორესი—ჰუსსეინ-ბეგ Ბეჭან-ოღლი, რომელსაც ორი ძმა ჰყოლია, ერთი წარსულ, Ყირიმის, ომში მოუკლავთ ნიგოითის ბრძოლის დროს და მეორე ახლაც ცოცხალია. Ამ მოკლულ ძმას დარჩენია სამი ვაჟი; ერთს ამათგანს ხასსან-ბეგს Ბეჭან-ოღლის მე დაახლოებით გავეცანი და ამაზედ მოგახსენებთ რამდენსამე სიტყვას ამ წერილში.

Ადრე, ამ ორმოცი წლის წინათ, Თაედგირიძეებსა და Ბეჭანიშვილებს თავიანთ ქვეყნებში თითქმის სრული და განუკითხავი მეფის, ხელმწიფის უფლება ჰქონიათ ხონთქრისაგან მინიჭებული; ამათი გვარის პირველი კაცები უეჭველად უნდა ყოფილიყვნენ თავიანთ მაზრის ფაშებად, გამგებლებად; უიმათოთ ხონთქარი ვერაფერს ბრძანებასა და განკარგულებას ვერ გამოსცემდა Ბათუმში და ქობულეთში; ომის დროს ჯარი ამათ უნდა გამოეყვანათ და მხედართ-მთავრობაც ამათ ეკუთვნოდათ.

Ამ ორმოცი წლის წინეთ, ხონთქარმა ჯერ Ბატონ-ყმობა მოსპო ამ ქვეყნებში და მერე ნელ-ნელა და ცოტ-ცოტათი ჩამოართვა Თაედგირიძეებსა და Ბეჭანიშვილებს ის უფლებანი, რომელიც იმათ წინაპრებს ჰქონდათ მინიჭებული.

როგორც ამათ, აგრეთვე სხვა ბეგებსაც და აღებსაც ჩამოართვეს გლეხები და ნაცვლად თითოეულ ოჯახს, გლეხების შემოსავლის დაგვარად, დაუნიშნა წლიური ჯამაგირი; ბევრსაც ხონთქარმა რაღაც მიზეზები მოუნახა და ზოგი მიწები ჩამოართვა; ხან-და-ხან ამათ ქვეყნის მმართველად სტამბოლიდამ გაგზავნილი ფაშები ინიშნებოდნენ და სხვ.

მაგრამ ახლაც, ამ უკანასკნელი ომის დაწყების დროსაც, კიდეე საკმაო გაელენა და მნიშვნელობა ჰქონდათ ამათ ხალხზე.

Ამის გამო ომის გამოცხადებისათანავე ოსმალოს მთავრობამ ქობულეთის, ჩაქვის და Ბათუმის მაზრებში ძილიციონერების მოკრება და სარდლობა ამათ მიანდო.

როგორც დამარწმუნეს, ყველა ამ მაზრებიდამ, ქალალდზე, სულ ათი ათას კაცამდინ ყოფილა გამოყვანილი; მაგრამ ნამდვილად კი ხუთ-ექვსი ათას კაცზე მეტი არ ყოფილა თოფ-ქვეშაო.

Ყველა ამ ჯარების უფროსობა მინდობილი ჰქონდა ჯერ Ალი-ფაშა Თაედგირიძეს; ძაგრამ მალე Დერვიშ-ფაშამ, როგორც თვითონ ამბობს, ორგულობა, რუსეთის მიმხრეობა შესწამა ამას, ჩამოართვა სარდლობა, დაიჭირა და ისე გაგზავნა Ტრაპიზონში.

Ალი-ფაშის შემდეგ ყველა მილიციონერების მთავარ-სარდლობის თანამდებობა იმის უმცროს ძმას Ოსმან-ფაშას მისცეს. Მაგრამ Დერვიშ-ფაშამ ესეც იმავე მიზეზით დაიჭირა და აგრეთვე Ტრაპიზონში გაგზავნა.

Უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებოდნენ მაშინ, ვითომც Ალი და Ოსმან-ფაშები იმიტომ გადაყენა Დერვიშ-ფაშამაო, რომ ოსმალოს ინტენდანტის ჩინოვნიკმა აღმოაჩინაო, რომ ესენი ჯარის ხარჯიდამ რჩებოდნენო, სრულს

ცხლათაო და მასთან რაც მოგვეძევა, სულ ყველაფერი დაგველუპებაო.

მიხვალ თუ არა ვისმეს ოჯახში, ნახავთ დიდ ჯოხს, საქენზედ უმაღლესს სახლის წინ დასობილს. ეს ჯოხი არის მწარე ტყავიანი ხეებისა. თავი აქვს ზევით ჯვარის სახედ გაპობილი და იმაში არის ჩაწყობილი პატარა ქვები, მასთან წამოცმულია მწარე გოგრა, მისთვის რომ „ეშმაკები ყოველ ღამე დადიანო და როცა მოვლენ, წინა პირველად ამას ეტაკებიანო, მწარე გოგრას და ქვას ვერაფერს უზმენო და უკან დაბრუნდებიანო“ —ამნაირი აზრისანი არიან აქაურები.

ყველა მკითხველებმა კარგათ იციან, რომ სამურზაყანო თავისი მდებარეობით ცხელი ქვეყანაა და მის გამო გახშირებულია ციებ-ცხელება, უფრო აგვისტოს თვეში. — ხალხი კი ამტკიცებს „ეშმაკებმა“ შესჭამესო და სხვ.. ნაცვლად სხვა და სხვა საშუალებისა, წამლებისა, მიდიან ბებერ დედაკაცებთან *. 70 წლის დედაბერი გამოიტანს ლობიოს და პიტ ეუბნება ავათ მყოფის ქარის-უფალს სალოცავები გიწყრებიანო. უბედურები ხოცავე ი ძროხებს, ერთი „სალოროთო“ (ღმერთს) მეორე ანგელოზს და მესამე „ქინის“ (ზევითურ ეშმაკებს) და სხვ... მაგრამ მაინც უწამლობით კვდებიან ავათმყოფები. —

სამურზაყანლებს ძრიელ უხაროდათ წარსული ომიანობა და ეხლაც რო მოხდებოდეს არ ეწყინებათ, უფრო თავადაზნაურებს. — ერთ კაცს ველარ ნახავთ, რომ ჯვრები, ოქროს და ვერცხლის მენდლები არ ეკიდოს, მაგრამ სამსახურის დროზედ მილიციონერებს ბევრი ფულები დაკლებიათ თავიანთ დანიშნული ჯამაგირისაგან, უფრო გლეხებს. ამ ფულების თაობაზედ მოხდა საჩივარი და გამოძიება მოახდინა პალატისაგან დანიშნულმა პირმა, რომელმანც დაიბარა ყველა სამურზაყანლები გამოსაკითხავად. როცა საჩივრებს დაუწყეს დამზადება, ჯარების უფროსებმა გამოაცხადეს გაზეთში რომ ოცი ათასი მანეთი ბანკში შევიტანეთო, მაგრამ, საუბედუროდ, გლეხებს სრულიად არ გაეგებათ, რა არის „ბანკი“; ვისაც რამე გაეგება, ისინი ყვირიან, რომ ქუთაისის ბანკზე არის გაზეთებში ერთი დავიდარაბაო, თორემ ჩვენი ბანკის გარემოებები ჰაერზედ უნდა ეკიდესო და კიდეც ელიან ფულების დაბრუნებას გამოძიების შემდე.

აბხაზეთში ყველა შკოლები დაიხურა, რადგანაც ხალხი გარდაცვინდა სათათრეთში. სამურზაყანოში არის სულ ხუთი შკოლა: ოქუმის შკოლა კარგ მდგომარეობაში იყო ყოველ ნაირად, სანამ აქ იყო მასწავლებლათ უ. იოსელიანი, ყმაწვილები ასრულებდნენ კარგათ კურს და შედიოდნენ სხვა და სხვა სასწავლებლებში, უფრო სუხუმში, ეხლა კი დაიხურა ამისთანა კარგი სასწავლებელი ომის გამოცხადების შემდეგ, თუმცა ალა დიდი შიში არ იყო და კარგათ შეიძლებოდა სწავლის გაგრძელება, მაგრამ შკოლის სახლი სასამართლოების სახლებად აქციეს.

რაც შეეხება აქაური შკოლების ზედამხედველობას, მგონი აქ რევიზორი აღარ ყოფილა შკოლების დასახედავად აგერ მეორე წელიწადი გადის. სამურზაყანოს ხალხი დიდათ არაფრით განირჩევა მეგრელებისგან, რომელთაც გახშირეს შკოლები თავიანთ მხარეზედ და აქაურებს არაფერი ეხარჯებათ, მხოლოდ ბავშვებს გამოგზავნიან [illegible].

N—ნია

წერილი რედაქტორთან

ძიავ მეგაზეთე! ძი შემიტყვია თქვენი ეფენდობა ფუხარა კაცებზე და ბევრსაც სხვას კაის შობიო. ახლა, ძიავ მაინც ერთი გავხდით და ამისათვის, ძიავ, ნება მომეცით ხანდისხან ჩვენი ამბავიც შეგატყობინოთ, რომ თქვენი გაზეთის წყალობით ჩვენი ფუხარობა და ამბავი ჩვენ ახალ ბატონებს გავაგებინოთ.

ხომ იცი, ძიავ, ახლა ჩვენში მოსკოვები ჩამოვიდნენ და გვეუბნებიან ბევრს და პევრსაც გვაჩისტებიან. ზოგი გვეუბნების ქართველები ხართო და ახლა ყარდაში გავხდებითო. ძაი მოგივიდეს, ძიავ, კაია ყარდაშობა და დოსტობა, თუ კი გავაწყეთ ერთმანეთში. ჩვენ, ძიავ, ის კი ვიცით, რომ ქართველები ვიყავით ერთ დროს, მაგრამ ახლა თქვენ სხვა ხართ და ჩვენ თათრები. თუ კი ჩვენ გვექნება თქვენი ყარდაშობა, არვინ არაფერს დაგვიშლის, მაგრამ ხომ იცი ზოგი თავის უცოდინარი კაცი იმისთანას იზამს და იმისთანას გეტყვის, რომ თავზედ ხელს ამაღებიებს.

ჩვენ ეფენდუმ მეტი ჩვილი გული სა ვართ და არავისთვის გვინდა წყენა, მერე იმისთანაებისა, ვისაც ენა არა აქვს თავისი ამბავი თქვას. ჩვენში მეტ ცოდვათ ვთვლით ძაღლების მოკვლას, რადგანაც ისინი თან უენოები არიან და ბევრს ორგულ კაცებსაც სჯობიან. დღეს კი, ეფენდუმ ერთმა თქვენებრივმა დელიყონმა ამოდო ყამა და ბაზარში [illegible]

სურსათს და ჯამაგირს არ აძლევდნენ თავიანთ მილიციონერებსაო. თვითონ ოსმან-ფაშა კი ზემოხსენებულ მიზეზს (რუსების მიმხრობას) ამბობს.

ახლა ორივე ძმანი თავისუფალი არიან. ალი-ფაშა ამას წინათ ყოფილიყო ბათუმში და ახლა ტრაპიზონშია; ოსმან-ფაშა კი ახლაც ბათუმში დავტოვე. ესენი აპირებენ სტამბოლში წასვლას და ხონთქრის წინაშე თავის გამართლებას.

—ისე ბრძოლა და შეტაკება არ ყოფილა აქეთკენ, რომ ჩვენ წინ არ ვყოფილიყავით და ბრძოლაში არ ვრეულიყავით; თორმეტი წლის ყმაწვილები გამოვიყვანეთ, რაც ღონე და შეძლება მქონდა, ყველაფერი ხონთქარს ვანაცვლე, და ამის შემდეგ დერვიშ-ფაშა ჩვენი ხელმწიფის ღალატსა და თქვენს მომხრობას გვწამებს!

ასე მითხრა ოსმან-ფაშა თავდგირიძემ. საზოგადოთ ის ძალიან ემდურის დერვიშ-ფაშას; ყველგან ჩვენ ვიყავით და ხონთქარს კი მოხსენებას უგზავნიდაო, რომ ნიზამები იმარჯვებენო, მაშინ როდესაც აქეთკენ იმათ სულ ორჯერ მიიღეს ბრძოლაში მონაწილეობა.

ოსმან-ფაშა ამბობს, რომ დერვიში მართალია, ჭკვიანი, ფრთხილი და წინ დახედული კაცი არისო; მაგრამ იმის წინ დახედულება და სიფრთხილე ხშირად სიფრთხალემდის მიაღწევსო.

—ახლა მე მეტი არა მინდა რაო, ამბობს ოსმან-ფაშა, რომ მხოლოთ ჩემ ხონთქართან პირ-ნათლათ და შეურცხვენლად გამოვიდე. წავალ სტამბოლში, წარუდგენ ჩემ ერთგულ სამსახურს, ყველა დამტკიცებას და თუ გამამტყუვნეს, რაც სასჯელი მერგება, მივიღებ და თუ გამართლებული შევიქენი, სინიდისიერად დავბრუნდები ჩემს ძვეყანაში.

მა სინიდისი და თავიანთ ხელმწიფესთან პირ-ნათლად გამოსვლა და ერთგულება, რამდენათაც შევნიშნე, ყველა აქაურ ქართველებს ძლიერ მიაჩნიათ.

—სამჯერ იყო აქეთკენ ჩხუბი, სამივე ჯერ ერთგულათ ვემსახურეთ ჩვენს ხონთქარს, სამივე ჯერ დამარცხებული გაგიშვით აქედამ; მაგრამ ბოლოს მაინც თქვენს ხელში დავრჩით! რა გაეწყობა! ალბად, ღვთის ნება ყოფილაო და უნდა დავმორჩილდეთო! და თუ შემთხვევა გვექნა, რუს ხელმწიფეს დაუმტკიცებთო, რომ იმისთვისაც ისე ერთგულად შეგვიძლია ბრძოლა და თავის შეწირვა, როგორც დღემდინ ხონთქრისათვის ვიბრძოდით!

ამ გვარი სიტყვები ბევრგან გავიგონე მე ქობულეთში და ბათუმში და დარწმუნებული ვარ, რომ ისინი გულ წრფელად ლაპარაკობდნენ. ერთგულება და თავ-დადება თავის ქვეყნისა და ხელმწიფისათვის იმათ სამხედრო მოვალეობად, პატივად მიაჩნიათ. . . .

ოსმან-ფაშა 45-50 წლის კაცი იქნება. მკრთალ, ყვითელ ფერზედ, მოწყენილ, დაფიქრებულ პირი-სახეზედ ეტყვია, რომ იმას ბევრი დარდი და მწუხარება გამოუვლია. სხვებრ სახე: გადამლილი შუბლი, შავი რგვალი თვალები, ცოტათი მსხვილი ცხვირი, წმინდა ტუჩები, მოგრძო ნიკაპი და სხვ., ყველა ფერი ნამდვილ ქართველს მოგაგონებსთ. ქართულს ისე კარგათ და თავისუფლათ ლაპარაკობს, როგორც ყველა ქართველი.

შემდეგ წერილში გეტყვით რამდენსამე სიტყვას ახალგაზდა ჰასან-ბეგ ბექან-ოღლიზედ, რომელიც აქეთკენ ერთ ჭკვიან კაცთაგანად ითვლება და რომლის სიტყვებში და შეხედულებაში გამოიხატება აქაური გამაჰმადიანებულ

მოსიარულე ძაღლს მუცელში სტიკა და მოკლა. ჰკავს, იმიტომ, ეფენდუმ, რომ ეხლა ჰყიდიან ჩვენზე დოლი-ყენობას. ახლა, ძიავ, მეტია თქმა რომ ნოგახსენოთ და დელიყანობა მაშინ იქნებოდა დოსტობათ არ ჩამოსულიყავით ჩვენში. რა გაეწყობა, ძიავ, ახლა რაცა ვთქვათ ის უნდა ვთქვათ ბოლოს, რომ ახლახმა ახალი ბატონები სხვაი გვყავს, ახლა კარქი ქნას იმათი მობრძანება.

ჩვენმა სოფლებმა (ფანატიკებმა) მოიყარეს თავი სოხასში, ძიავ, და ერთი ყვირილი და ამბავი გამართეს, რომ რათ მოკლეს საწყალი ძაღლიო.

ძიავ, ავი გიყავი, რომ ამ პირველ ძაღლებზე და გლახა ამბებზე გწერ. იშალახ, მერე სხვა ამბებსაც მოგწერთ.

(სახელი და გვარი დამწერისა ვერ გავარკვიეთ)

ბათუმი.

ომის შემდეგ

ოსმალეთი

— სტამბოლიდამ მოსული ტელეგრამმა ამბობს, რომ მეჰმედ-ალი-ფაშა გაუსხლტა ხელიდამ ალბანიელების აჯანყებულების ატრიადს, 150 კაცს, რომელთაც უნდოდათ დაეჭირათ ის იაკოვიაში და დაიმალა ერთ სირაიაში. აქ იმას შემოერტყნენ ინსურგენტები და მოჰკლეს თავის ამალით, რიცხვით 20 კაციო.

სტამბოლიდამ მიღებული კერძო ტელეგრამმების სიტყვით, ძველი ოსმალოს პარტია ცდილობს დაარწმუნოს სულთანი, და ავსტრო-ვენგრიასთან კონვენციის შეკვრის მაგივრად გამოუცხადოს ამ სახელმწიფოს ომი. ყოველივე შემთხვევაში, ცხადია, რომ პორტამ-უარ ჰყო კონვენციის პროექტი, შედგენილი ვენის კაბინეტისაგან.

— ბელგიის გაზეთის სიტყვით, იწერებიან რუსულ გაზეთებში, რამოდენიმე ათასი ოსმალოს ტყვე რომელიც იმყოფებოდა რუსეთში უკვე დაბრუნდნენ სამშობლოში და ლაგერათ დადგნენ ბოსფორის ნაპირებზედ, ამბობენ, რომ იმათ დაურიგდებათ ახალი მუნდირები და შემდეგ ან დაითხოვენ შინ, ან ისევ ჩარიცხავენ იმ პოლკში, რომლებშიაც წინეთ იმყოფებოდნენო.

საფრანგეთი

რუსულ გაზეთებში იწერებიან ათინიდამ:

„ამ უკანასკნელმა დღეებმა ჩვენ ძალიან ბევრი სამწუხარო და შესაძრწუნებელი ამბები მოგვიტანა ოსმალოს საზღვრებიდამ. გავიგეთ, რომ ოსმალოს ჯარები გადმოვიდნენ საბერძნეთის საზღვრებზედ და ჩვენს ადგილებში მოქმედებენ ისე მხეცურათ, რომ არ გაგონილა; ამბობდნენ, რომ თათრებსა და საბერძნეთის მწყემსებს შუა ცხვრების მოპარვის გამო სისხლის დანთხევამდი მოვიდა ჩხუბით. აღმოჩნდა, რომ თათრებსა და აქაურ მწყემსებს შუა ისევ მოხდა ჩხუბი, რომელიც თითქმის დღემუდამ არის ხოლმე ამათში. ადვილათ შესაძლებელია, რომ ამ დროს, როცა მოსამზღვრე მუსულმანები ასეთ გაცხარებულ მდგომარეობაში არიან, ამ საქმემ უფრო სხვანაირი, მძიმე ბოლო მიიღოს ამ გვარი მოქმედებით“.

რუმინია.

—ფილიპოპოლიდამ იწერებიან „პოლიტიკურ კორრესპონდენციაში 26“ აგვისტოდამ:

„მთელს რუმინიაში მილიციისთვის ჰკრებენ მცხოვრებლებს და ამისთვის ყველგან დიდი სიცხოველეა. ყოველ დღე აქ მოდიან აუარებელი ახალგაზდა კაცები, დანიშნულნი სამხედრო სამსახურისთვის. ზამოჰყავთ მხოლოდ 20—22 წლის კაცი. რუსის გენერალის სიტყვით, რომელიც აწყობს ბოლგარიის და რუმინიის მილიციას, სულ 35,000 კაცი უნდა მოგროვდეს; ამათგან 23.000 ბოლგარიისთვის და 12000 რუმინიისთვის. კამანდირები, ყველა აფიცრები და უნტერ-აფიცრები დანიშნულ იქნებიან რუსის ჯარიდამ, აგრეთვე მოძრაობა მილიციისა იქნება რუსის გენერალნი შტაბის ხელმძღვანელობით.„

იტალია

გარიბალდიმ 28 აგვისტოს, როგორც იწერებიან „თბილისის მოამბეში“, მისწერა ერთ თავის მეგობარს შემდეგი წერილი: „საყვარელო ბიცონი, პასუხს გაძლევ მხოლოდ მისთვის, რომ არაფე-

---

ქართველების შეხედულება თავიანთ ახლანდელ მდგომარეობაზედ.

ახლა კი ორიოდე აქაურ ახალ ამბავს მოგახსენებთ:

30 აგვისტოს ჩამოვიდა აქ ღენ-მაიორი კამაროვი თავის არტაანის ატრიადით, რომელმანც უგზოობის გამო დიდი გაჭირება და წვალება გამოიარა.

— თხებივით დავპორტყავდით კლდეებზე; თან საპიორები სჭრიდნენ გზა'ა და თან მოვდიოდითო, დღეში 10-15 ვერსს მოვდიოდით, მეტს ვერაო,—ასე სთქვა თვითონ ღენ. კამაროვმა.

ამ ატრიადს ჩამოჰყვა აქ რამდონიმე ბეგი და დეპუტატები ართვინიდამ, მაჭახელიდამ, შავშეეთიდამ და აჭარიდამ, სხვათა შორის შერიფ-ბეგის ხიმშიაშვილის ძმის წული ნურიდ-ბეგი.

მეორე დღეს თ. მირსკიმ დახედა არტაანის ატრიადი, მიულოცა ამათ მშვიდობიანობის დამყარება და მოსვენება.

იმას წარუდგინეს აგრეთვე ამ ატრიადთან მოსული ბეგები და დეპუტაციები, რომელთაც იგივე სიტყვა უთხრა, რაც სხვა ამ გვარ დეპუტაციებს ქობულეთიდამ და ბათუმიდამ: რომ დღეის შემდეგ თქვენ დიდი რუსეთის იმპერატორის ქვეშე—ვრდომნი ხართ, რომელსაც იმედი აქვსო, რომ ისეთისავე ერთგულებით ემსახურებით, როგორც დღემდინ ოსმალეთის ხონთქარს ემსახურებოდითო; იცხოვრეთ მშვიდობით, წყნარად და მთავრობა თქვენის კეთილდღეობისათვის ეცდებაო; თვენს სარწმუნოებას, ადგილ-მამულს და ცხოვრებას მთავრობა ხელს არ ახლებსო; ვისაც ნებავს დარჩება და ვინც არ მოისურვებს აქ დარჩენას, ჩვენ არავის არ დავიჭერთ, სამი წელიწადი ვადა გაქვთ, შეგიძლიანთ წახვიდეთო და სხვ.

2 ენკენისთვეს მოვიდა ოდესსიდამ აქ ადმირალის გემით შავი ზღვის ფლოტის უფროსი ადმირალი არკასი, რომლის განკარგულებითაც, როგორც ამბობენ, ზღვის აფიცრებმა უნდა გამოიკვლიონ ბათუმის ნავსადგური, იმის სიღრმე უნდა გამოზომონ და სხვ.

25 აგვისტოდამ, ე. ი. მას იქეთ, რაც რუსები შემოვიდნენ, აქ ხან სამი და ხან ოთხი რუსის სამხედრო ხომალდი დგას მუდამ ნავსადგურში, ხომალდი „ბაბუშკა“ კი ფოთსა და ბათუმს შუა დაიარება, ჯარები გადაჰყავ-გადმოჰყავს და სხვა სამხედრო საქმეებს ასრულებს.

ბათუმში ჯერ-ჯერობით ფოჩტა არ არის გამართული. ამბობენ, რომ ამ ქალაქსა და ფოთს შუა „ბაბუშკა“ ივლის მუდამ, კვირაში სამჯერაო. ძალიან კარგი იქნება, რომ ამ მხრითაც შემოგვიერთონ ბათუმი და თავის დროზე ფოჩტა გაიმართოს აქ.

1 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, წავიდა აქედამ უკანასკნელის ჯარებითა და ბარგით მუშირი დერვიშ-ფაშა. ახლა აქ მხოლოთ ერთი ბატალიონი და ნახევარი ოსმალოს ჯარია, რომელიც უყარაულებს ცოტაოდენ ოსმალოს ქონებას, რომელიც ჯერ კიდევ გადაუტანელი დარჩა. ამ ერთ კვირაში კი ოსმალეთს აქ არა დარჩება-რა.

„ბათუმის მაზრის სამხედრო გუბერნატორად“ დაინიშნა არტაანის ატრიადის უფროსი ღენ.-მაიორი კამაროვი. მაზრის უფროსად (окружной начальникъ), როგორც ადრევე მოგახსენეთ, თ. გრ. გურიელია, რომელსაც სამოქალაქო საქმეების გამგეობა აქვს მინდობილი. ბათუმის პოლიციმეისტერად დანიშნულია მაიორი ყურული.

ბათუმის მეჯლიშმა (სასამართლომ) ხელ-ახლად დაიწყო თავის მოქმედება.

ს. მ.

რი არა ესთქვა, თუმცა კი შემეძლო ბევრი რამ მეთქვა თქვენთვის.

„მოვამზადოთ იტალია სასიკვდილო ომისათვის ავსტრიასთან, ომისათვის, რომელზედაც ჰკიდია ჩვენთვის მომავალი საუკუნოების არსებობა“.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲡᲐᲜᲐᲥᲔᲑᲝ ᲓᲐᲛᲓᲜᲐᲠᲘ ᲫᲠᲝᲮᲘᲡ ᲔᲠᲑᲝ

სიბირის მხრიდან, რომელიც ისყიდება თამამშოვის ქარვასლასთან, თუთუნოვის კანტორის წინა. ბოჩკით მყიდველისათვის ფუთი 13 მანეთი, ფუთობით და ნახევარ ფუთობით 14 მანეთი და გირვანქობით ორი აბაზი. მეტათ საქებურია ამ ერბოს სუნი და გემო.

(2—2)

ᲖᲐᲘᲥᲘᲠᲐᲕᲔᲑᲘᲡ 2 ᲡᲣᲤᲗᲐ ᲝᲗᲐᲮᲘ ᲔᲠᲗᲐᲗ ᲓᲐ ᲪᲐᲚ-ᲪᲐᲚᲙᲔᲓ ᲛᲔ 2 ᲠᲔ ᲔᲢᲐᲟᲐᲨᲘ. ᲙᲠᲐᲡᲜᲝ ᲒᲝᲠᲡᲙᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ № 7.

(3—2)

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲝᲗ ᲙᲣᲚᲘᲗᲐᲪᲐ **ᲗᲐᲛᲒᲐᲥᲝ**, ᲛᲐᲮᲝᲠᲙᲐ, ᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲤᲐᲡᲐᲗ.

ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: ᲒᲐᲚᲔᲠᲘᲔ ᲐᲠᲬᲠᲣᲜᲘᲐ, № 146.

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲐᲚᲮᲐᲖᲝᲕᲘ.

ᲒᲘᲒᲝ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ:

„ᲜᲘᲜᲝ“

ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ ᲗᲐᲕᲐᲓᲘ ᲠᲐᲤᲘᲔᲚ ᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐ.

ᲤᲐᲡᲘ 15 ᲙᲐᲞᲔᲘᲙᲘ.

ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲕᲐᲠᲗᲐᲜᲝᲕᲘᲡ, ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲨᲘ.

ᲓᲔᲓᲐᲜᲘ

ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲞᲔᲢ. ᲣᲨᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲤᲐᲡᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲙᲐᲞᲔᲘᲙᲘ

მეოთხედი თაბახი საწერის ქაღალდისა. შეიცავს 5 სავარჯიშებელს: 1, ანბანის დედანა მგრეველის ხელისა; 2 მაგალითი წიგნიდან გადმოწერისათვის მგრეველის ნუსხურის ხელით; 3 ანბანის დედანი ნუსხურის ხელისა და 4 დედანი (იგივე არის მაგალითი) გადმოწერისათვის ნუსხურის ხელით. ბოლოს 5 ნაწილში არის მაგალითები—რა უმთავრესს ფუძეებით ებმის ასოების ერთმანეთს გამშუალ ხელით წერაში.

აგრეთვე ისყიდება მისივე გამოცემა **ᲬᲘᲒᲜᲘ ᲡᲘᲑᲠᲫᲜᲔ ᲡᲘᲪᲠᲣᲡᲘᲡᲐ** თხზულება საბა ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡᲐ.

ᲤᲐᲡᲘ ᲐᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

Თ. ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ. ᲡᲥᲔᲚ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲖᲔ. ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ. (5—2)

ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲣᲤ. ᲒᲘᲒᲝ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ—ᲓᲐ—ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲨᲘ, ᲣᲤ. ᲨᲐᲜᲪᲘᲔᲕᲗᲐᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ.

ᲚᲔᲥᲡᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲐ

თ. ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡᲐ, ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡᲐ, ᲐᲙᲐᲙᲘ ᲬᲔᲠᲔ�თᲚᲘᲡᲐ, ᲐᲜᲢᲝᲜ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲐᲫᲔᲡᲘ, ᲘᲕᲐᲜᲔ ᲙᲔᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲔᲡᲘ, ᲘᲝᲡᲔᲑ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘᲡᲐ.

ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲘᲡᲐ

ᲤᲐᲡᲘ ᲝᲠᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ.

16-Ს ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲓᲐᲛ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ Ქ. ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

„ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ“

ᲡᲐᲓᲐᲪ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲒᲕᲐᲠᲘ **ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ ᲬᲘᲒᲜᲘ** (учебники), რუსულსა და ქართულს ენაზე. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡᲐ **„ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ“** ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲒᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲪ, ᲐᲒᲠᲔᲗᲔᲕᲔ ᲠᲣᲡᲣᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲡ ᲔᲜᲐᲖᲔ.

ᲐᲛᲐᲕᲔ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐ **ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ** ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲝ ᲣᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲛᲘᲡᲘᲝᲜᲔᲠᲘᲡ Უ. ᲕᲐᲠᲗᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲘᲡᲐ.

ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐ: ᲛᲘᲮᲐᲘᲚᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, Უ. ᲮᲐᲠᲐᲖᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ, ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲛᲝᲗ.

ᲑᲔᲠᲔᲜᲨᲢᲐᲛᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ, ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲖᲐᲚᲐᲕᲘᲬᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲖᲔ, **ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ** ᲠᲣᲡᲣᲚᲡ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ **„ᲒᲐᲢᲝᲚᲜ-ᲥᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ“** („Крѣпостное Право въ Грузіи“). ᲗᲘᲗᲝᲗ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ **ᲤᲐᲡᲘ ᲗᲘᲗᲣᲗᲛᲔᲢᲘ ᲨᲐᲣᲠᲘᲐ**, ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ ᲝᲗᲮᲘ ᲐᲑᲐᲖᲘ.

რკ. გზა.	ᲓᲘᲚᲐ.		ᲡᲐᲦᲐᲛ.		II კ.		III კ.	
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ . .	9	21	5	18	მ.	კაპ.	მ.	კაპ.
ᲛᲪᲮᲔᲗᲐ . . .	10	11	6	27	-	68	-	38
ᲒᲝᲠᲘ. . . .	11	58	9	43	2	40	1	33
ᲮᲐᲨᲣᲠᲘ. . .	1	29	11	57	3	92	2	18
ᲡᲣᲠᲐᲛᲘ. . .	1	44			4	42	2	46
ᲣᲕᲘᲠᲘᲚᲐ . .	5	49			5	81	3	23
ᲠᲘᲝᲜᲘ . . .	6	57			6	75	3	75
ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ .	7	51			7	73	4	29
ᲐᲮᲐᲚ-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ	8	43			8	57	4	76
ᲤᲝᲗᲘ . . .	9	50			9	75	5	42
ᲤᲝᲗᲘ . . .	9	3						
ᲐᲮᲐᲚ-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ	10	14			1	18	-	66
ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ .	11	5			2	6	1	14
ᲠᲘᲝᲜᲘ. . .	12	13			3	4	1	69
ᲣᲕᲘᲠᲘᲚᲐ . .	1	18	ᲦᲐᲛᲔ.		3	98	2	21
ᲡᲣᲠᲐᲛᲘ . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ᲮᲐᲨᲣᲠᲘ. . .	5	39	1	37	5	84	3	24
ᲒᲝᲠᲘ . . .	7	5	4	8	7	36	4	9
ᲛᲪᲮᲔᲗᲐ . . .	8	50	6	59	9	8	5	4
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ. .	9	31	7	56	9	75	5	42

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

	ᲛᲐᲜ	ᲙᲐᲞ.
ᲝᲪᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ:		
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ, ᲤᲝᲗᲘᲡ	1	—
ᲒᲝᲠᲘᲡ, ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ, ᲡᲘᲚᲜᲐᲚᲘᲡ . .	—	50
ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘᲡ, ᲝᲓᲔᲡᲐᲡ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ	2	—
ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ, ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ	2	—
ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲨᲘ, ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ. .	3	—
ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ .	3	50
ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ	3	75

ᲤᲝᲡᲢᲘ

Ა) ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ: ᲡᲐᲛᲖᲦᲕᲐᲠ ᲒᲐᲠᲔᲗ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ— ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ. ᲖᲣᲒᲓ. ᲝᲠᲨ. ᲓᲐ ᲮᲣᲗᲨ. ᲝᲖᲣᲠ.—ᲞᲐᲠᲐᲡᲙ. ᲓᲐ ᲝᲠᲨ. ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ—ᲡᲐᲛᲨ. ᲓᲐ ᲨᲐᲑ. Ბ) ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ: ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲤᲝᲗᲘᲡᲙᲔᲜ— ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ. ᲝᲠᲨ. ᲓᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙ. ᲒᲐᲒᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ—ᲝᲠᲨ. ᲓᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙ.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲖᲦᲕᲐᲠ ᲒᲐᲠᲔᲗ:	ᲙᲐᲞ.
ᲚᲘᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ	4
ᲓᲐᲑ. ᲭᲓᲘᲚᲘᲡ (ᲮᲣᲛᲘ ᲛᲘᲡᲮᲐᲚᲘ) .	8

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

	ᲛᲐᲜ	ᲙᲐᲞ
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 5 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑ.		
ᲤᲥᲕ. ᲗᲔᲗ. ᲑᲐᲜᲯᲣᲠᲘᲐ, ᲤᲗ.	1	70
ᲤᲥᲕᲘᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ . . .	1	30
ᲥᲔᲠᲘ ᲤᲣᲗᲘ	1	30
ᲑᲐᲛᲑᲐ ᲛᲠᲔᲕᲔᲚᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ .	7	50
—ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ . .	8	50
ᲑᲐᲠᲔᲜᲢᲘᲚᲘ ᲑᲐᲛᲑᲐ ᲤᲣᲗᲘ.	10	—
ᲛᲐᲢᲚᲘ ᲗᲣᲨᲣᲠᲘ ᲤᲣᲗᲘ.	8	20
—ᲗᲐᲠᲐᲥᲐᲛᲘᲡᲐ ᲤᲣᲗᲘ . .	4	40
ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘ ᲜᲣᲮᲣᲠᲘ ᲡᲢ.	2	—
ᲥᲝᲜᲘ, ᲤᲣᲗᲘ	5	50
ᲥᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ .	8	—
ᲡᲢᲔᲐᲠᲘᲜᲘᲡ Ს.ᲜᲗᲔᲚᲘ, ᲤᲗ.	12	45
ᲮᲝᲠᲪᲘ ᲥᲠᲝᲮᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢ.	—	81
—ᲪᲮᲕᲠᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢᲠᲐ . .	—	90
ᲡᲞᲐᲠᲢᲘ ᲕᲔᲓᲠᲝ	4	80
ᲨᲐᲥᲐᲠᲘ, ᲑᲠᲝᲪ. ᲤᲣᲗᲘ .	7	50
—ᲤᲬᲕᲜᲘᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ . . .	6	—
ᲣᲐᲕᲐ ᲒᲠᲒᲕᲐᲚᲘ, ᲒᲘᲠᲕ. .	—	70
ᲮᲔᲗᲘ ᲭᲣᲜᲯᲣᲗᲘᲡᲐ ᲤᲣᲗᲘ.	13	50
ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝ, ᲡᲐᲨᲣ ᲚᲝ ᲤᲗ.	12	—

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ᲛᲠᲔᲕᲔᲜᲡ ᲛᲔᲓᲐᲜᲨᲘ, ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲐᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ.

ᲐᲕᲗᲛᲧᲝᲤᲔᲑᲡ ᲛᲘᲘᲦᲑᲔᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲡ ᲓᲦᲔ ᲓᲘᲚᲘᲡ 9 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲛ 1-ᲛᲓᲘᲜ.

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲠᲚᲔᲕᲘᲩᲘ—ᲨᲘᲜᲐᲒ. ᲐᲕᲐᲗ., ᲥᲘᲣᲩᲐᲠᲘᲐᲜᲪ—ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲔᲥᲘᲛᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲘᲚᲝᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲐ—ᲨᲘᲜᲐᲒ. Ა. ᲑᲐᲮᲣᲢᲝᲕᲘ—ᲡᲐᲑᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ, ᲞᲔᲣᲜᲝᲕᲘ—ᲗᲕᲐᲚᲘᲡ.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲐ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲐ—ᲨᲘᲜᲐᲒ., ᲥᲘᲣᲩᲐᲠᲘᲐᲜᲪ—ᲡᲘᲤᲘᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲐᲠᲓᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲔᲑᲘᲡ.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨ ᲕᲘ—ᲨᲘᲜᲐᲒ., Ა. ᲑᲐᲮᲣᲢᲝᲕᲘ—ᲡᲐᲑᲔᲑᲘᲗ ᲥᲐᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲐ ᲨᲘᲜᲐᲒ., ᲓᲐ ᲞᲔᲣᲜᲝᲕᲘ—ᲗᲕᲐᲚᲘᲡᲐ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Сентября 1878 г. Типографія Меликова. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛ. Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ.